

**რუსიციზმები თურქეთელ ქართველთა
მეტყველებაში**

**RUSSICISMS IN THE SPEECH
OF TURKISH GEORGIAN SPEAKERS**

მაია მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Maia Mikautadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

From the perspective of investigating the linguistic influence, a bigger picture that evolved in Georgia from 1870s and 1880s until 1930s is of interest, particularly: some of the Georgian territories that had been part of the Ottoman Empire in the course of nearly three centuries, fell under control of Russia for a certain period of time (nearly 40 years); besides, prior to the exile of the Muhajirs, those who were deported from South-Western Georgia, naturally, had a particular relationship with the Russian world.

The article demonstrates the trace of the Russian influence on today's speech of the Turkish Georgians. The research has revealed the following picture:

1. Today, Russicisms rarely occur in the speech of the Turkish Georgians. A large part of the Russian borrowings (i.e. *načalniḱi*, *verḱni*, *daprosi*, etc.) are mainly attested in the speech of the old-age population; Russicisms are either missing or, rarely (if ever) used only by younger generation in improvised humorous rhymes (*paraḱoṭi*, *barišnebi*, *aḱoṣḱa*, etc.).

2. nowadays, some words (*ḱapiḱi*, *ṣauri*, *ṣṭoli*, etc.) that were identified by Nikolai Marr a century ago, are no longer attested.

3. compared to other Kartvelian dialects, the speech of the Turkish Georgians features a small number of Russian words. This resulted from the fact that after the establishment of the Soviet Union and the so-called iron curtain that was drawn down blocking the country from the rest of the world, the speech of the Turkish Georgians was free of the extensive influence of Russian, the language that impacted the Georgian literary language and other Kartvelian dialects.

Clearly, a particular language contact with the Russian world in the 19th century has left a discernable trace in the speech of the Georgians. The Russian vocabulary is identified as a superstratum in the speech of the Turkish Georgians to the present day.

საკვანძო სიტყვები: თურქეთელი ქართველები, ენობრივი კონტაქტები, სიტყვათა სესხება, რუსიციზმები.

Keywords: Georgians living in Turkey, Linguistic Contacts, word borrowings, Russicisms.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ჰქონია სხვადასხვა სახის (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული...) ურთიერთობა. შესაბამისად, ქართულ ენაში აისახა უცხო ენებიდან, მათ შორის რუსული ენიდან შეთვისებული ლექსიკა. ქართულ-რუსული ენობრივი კონტაქტები თვალსაჩინო XIX საუკუნიდან ხდება, ხოლო საბჭოთა პერიოდში ინტენსიურ ხასიათს იღებს. იმ დროს რუსული ენა საქართველოში ფაქტობრივად მეორე სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობდა. ასეთ ვითარებაში ქართულში რუსული ლექსიკა ადვილად და თავისუფლად შემოედინებოდა. რუსული ენის პოზიციები დღეს ქვეყანაში შესუსტებულია, თუმცა გავლენის კვალი ჯერ კიდევ საგრძნობია.

საბჭოთა ეპოქაში რუსული ლექსიკა აქტიურად გამოიყენებოდა როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში. ნასესხობების ნაწილი სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა და ქართული ლექსიკური ფონდის კუთვნილება გახდა. ასეთი სიტყვებია: ფუთი, ვერსი, კაპიკი, სამოვარი... რუსული სიტყვების წილი გაცილებით დიდია დიალექტებში, რომლებიც ამ მხრივ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. საქართველოს კუთხეებიდან რუსული ენის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო აფხაზეთსა და სამეგრელოში, რაც განპირობებული იყო აღნიშნულ კუთხეებში შექმნილი ენობრივ-პოლიტიკური სიტუაციით (მიკაუთაძე... 2016).

რუსიციზმების გამოყენების თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება თურქეთელ ქართველთა მეტყველებამ მიიქცია.

როგორც ცნობილია, ისტორიული მესხეთის კუთხეები: ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, სპერი, კოლა., ლაზეთი... XVI-XVII საუკუნეებიდან, ოსმალეთის იმპერიის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილის დაპყრობის შემდეგ, გადავიდა ოსმალეთის მფლობელობაში.

1828-1829 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ახალციხის საფაშოს 10 სანჯაყი, ანუ სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიები. ტაო-კლარჯეთი კვლავ დარჩა ოსმალეთის შემადგენლობაში (ფაღავა... 2016: 37).

XIX საუკუნეში ეს კუთხეები მონახულეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა.

გ. ყაზბეგი 1874 წელს სხალთის ხეობის გავლით ჩავიდა შავშეთში. მისი ცნობით, შავშეთში იმერხევის ჩათვლით 58 სოფელია, საკუთრივ შავშეთში - 36. მოსახლეობა 12-დან 14 ათასამდე იქნება. მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის გამოკლებით, არის სუფთა ქართველური რასის. შავშეთში უფრო ფეხმოკიდებულია თურქული ენა, იმერხევი კი გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ ენას... (ყაზბეგი 1995: 90-91).

1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის შედეგად, ბერლინის ტრაქტატით, რუსეთს გადაეცა ყარსისა და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შედიოდა ართვინის „ოკრუგი“, რომელიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთს მოიცავდა. 1878 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი, იყოფოდა

სამ ოკრუგად: ბათუმის, ართვინისა და აჭარის. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1921 წელს, ყარსის ხელშეკრულებით, შავშეთ-კლარჯეთი კვლავ მოექცა თურქეთის გავლენის ქვეშ (ფუტკარაძე 2016: 23).

რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) შემდეგ, რუსული მმართველობის პერიოდში ისტორიული მესხეთის ზემოთ ჩამოთვლილი მხარეები მოინახულეს: ვ. ლისოვსკიმ, ა. პავლინოვმა, გრაფინია უვაროვამ, ჟან მურიემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა.

ზაქარია ჭიჭინაძის აღწერით, შავშეთი 7 სამამასახლისოს მოიცავს, მათ შორის 4 ეკუთვნის შავშეთს, 3 - იმერხევს. შავშეთში ქართული ენა აღარ იციან, სამ სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ (ახალდაბა, გარყელობი, ჭუარები), იმერხევში კი გაბატონებულია ქართული ენა. აქ არის ისეთი სოფლები, სადაც თათრული ენა სრულებით არ იციან (ჭიჭინაძე 1913: 300). შავშეთში ყველა სოფელს ქართული სახელი ჰქვია. ქართული სახელის არმქონე სოფლები იშვიათია. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს შავშეთის 34 და იმერხევის 34 სოფელს (იქვე: 294-297).

რაც შეეხება XIX საუკუნის 70-იან წლებში არსებულ ზოგად ვითარებას, იმ პერიოდისათვის „ქართული ენა მთლიანად დაცულია იმერხევის ზემო ნაწილებში ყვირაღა-წყლის ხეობის გასწვრივ, რომელიც შავშეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენს, ანუ იმ ადგილებში, რომელთაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ აჭარასთან; შემდეგ იგი ქრება შავშეთის დასავლეთ ნაწილებში, ისევე ჩნდება, თუმცა სუსტად, არტანის უბანში, გურჯის-ხევში... იგი ჩანს კიდევ ართვინის ქვემოთ... გაბატონებულია მთელს სივრცეზე, რომელიც ართვინის უბნის ქვემოთაა, მურღულისა და მაჭახელის რაიონებსა და ჭოროხის ნაპირის გაყოლებით, მარალდის უბანში” (ცეცხლაძე 2000: 26).

1877-1878 წლების ომის შემდეგ ისტორიული საქართველოს რუსეთის იმპერიაში გადასვლას კიდევ ერთი დარტყმა მოჰყვა ქართველთათვის - ჭოროხის აუზიდან მაჰმადიანი ქართველების ერთი მესამედი გადაასახლეს ოსმალეთის მარმარილოს ზღვის რეგიონსა და შავი ზღვის სამხრეთით. საერთო ჯამში, რუსულ მონაცემებზე დაყრდნობით, გადასახლებულთა რიცხვი დაახლოებით შეადგენდა 38 000 კაცს. ისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, რომ მუჰაჯირობის სხვადასხვა მიზეზი არსებობდა. ეს გახლდათ: არა მხოლოდ რელიგია, არამედ ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. რეგიონი იყო გადამეტსახლებული. სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობამ და იმ გარემოებამ, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ დიდი რაოდენობით მიწას ურიგებდა, მიგრაციას მასობრივი ხასიათი მისცა. მაშინდელ ერთ-ერთ რუს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მუჰაჯირობა ნაკლებად მოხდა სახნავი მიწების შედარებით მდიდარი მხარეებიდან (თოფჩიშვილი 2016: 46-47).

ამდენად, ეთნიკური ქართველები ოსმალეთის იმპერიაში აღმოჩნდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მთლიანად მოწყდნენ დედასამშობლოს, მათი მეტყველება კი უცხოენოვან (თურქული, სომხური...) გარემოში

ვითარდებოდა. აღნიშნული პროცესების შედეგად, ჭოროხის ხეობაში ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად განსხვავებული კილოები: იმერხეული, მაჭახლური, ლივანური, ტაოური.

1904 წლის ზაფხულში კლარჯეთსა და შავშეთ-იმერხეში იმოგზაურა ნ. მარმა. მან 1911 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ქართული ტექსტი, ლექსიკონი და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური. მეცნიერმა ისტორიულ ქართულ კუთხეებში მდიდარი ტოპონიმიკური მასალა ჩაიწერა; შავშეთ-იმერხეში დაახლოებით 144 ტოპონიმი დააფიქსირა. ნ. მარის მიხედვით, „ქართული ენა აქსოჯახოა, მაგრამ ურევნ თურქულ სიტყვებს, ასე „ბელქი“ – შეიძლება, რაჰათუა – თავისუფალია (“ეს სტოლი რაჰათია” ამ მაგიდაზე უფრო თავისუფალია), იშტა - მადა და ა.შ.“ (მარი 2012: 150).

ნ. მარის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები „ჩვენებურების“ მეტყველების ნიმუშები ჩაიწერა და მეცნიერულად შეისწავლა პროფ. შ. ფუტკარამე. მეცნიერმა მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“ ორ ნაწილად გამოაქვეყნა: I ნაწილში (1993) წარმოდგენილია დიალექტური ტექსტები, ხოლო II ნაწილი (2016) ლინგვისტურ ანალიზს ეთმობა.

დღეს ტაო-კლარჯეთის შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს. თურქეთელ ქართველთა თანამედროვე მეტყველების ნიმუშები სხვადასხვა მკვლევრის მიერ არის ჩაწერილი და გამოკვლეული (ნ. ცეცხლაძე, მ. ფაღავა, ნ. მეგლაძე, ტ. ფუტკარამე, ე. დადიანი...). ჩვენ მიერ 2006-2014 წლებში ტაოსა და იმერხეში ექსპედიციების ფარგლებში საკმაო მასალა იქნა მოპოვებული. ამ მასალის შესწავლა-განალიზების შედეგად ძალიან საინტერესო სურათი წარმოჩინდა, მაგალითად, იმერხეული მეტყველების საუკუნის წინანდელი და თანამედროვე მონაცემების შედარება-შეჯერების თვალსაზრისით.

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა მეტყველება პირობითად შესაძლოა დავყოთ: ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე განფენილ და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ (თურქეთის შიდა რაიონებში) არსებულ ქართულ კილოებად.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ქართველობა ამ მიწის ძირძველი მოსახლეობაა, ხოლო თურქეთის შიდა რაიონებში ცხოვრობენ აჭარა-მესხეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან მუჰაჯირად გადასახლებულთა შთამომავლები (ფუტკარამე 2016: 404).

სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მქონე ქართველი და თურქი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აისახა როგორც საქართველოს ამ ისტორიული კუთხეების მოსახლეობის სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, ასევე მათ მეტყველებაზე. დღეს ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებზე გავრცელებულ ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში, ქართულ-თურქული ლინგვოკულტურული ურთიერთობების შედეგად, სამეტყველო კოდების შერევის ძალზე საინტერესო სურათია სახეზე. აქ კოდ-სვიჩინგის ხუთივე ძირითადი ქვეტიპია წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, კოდ-სვიჩინგი სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ სრული ბილინგვიზმის ან დიგლოსიის შემთხვევაში (Wei 1998: 156-176; Clyne 2000: 12-30).

ენობრივი გავლენების შესწავლა-გაანალიზების კუთხით, ჩვენთვის საინტერესოა ის სურათი, რომელიც მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე შეიქმნა საქართველოში; კერძოდ: თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ქართული ტერიტორიების ნაწილი რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა გარკვეული პერიოდის მანძილზე (დაახლოებით 40 წელი); ამას გარდა, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან გადასახლებულებს მუჰაჯირობამდე, ბუნებრივია, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ რუსულენოვან სამყაროსთან. რა გავლენა ჰქონდა ისტორიისათვის თუნდაც დროის ასეთ მცირე მონაკვეთში რუსულ ენას მოცემული კუთხეების ქართველთა მეტყველებაზე, როგორ აისახა ეს ენობრივი ურთიერთობები ქართულ ენაში და რა დოზით არის შემორჩენილი იმ გავლენის კვალი დღევანდელ თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში - ეს გახლავთ წინამდებარე ნაშრომის თემა.

სტატიაში თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში გამოყენებული რუსული ნასესხობები, მათი ფორმოზრივ-სემანტიკურ ცვლილებები განხილულია ნ. მარის, შ. ფუტკარაძის, მ. ფაღავას, ნ. ცეცხლაძის, ტ. ფუტკარაძის, ე. დადიანის... და ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტების შედარება-გაანალიზების საფუძველზე.

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული რუსული ლექსიკა პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. სიტყვები, რომლებიც დამკვიდრებულია ქართულ სალიტერატურო ენაში და შესაბამისად გამოიყენება დიალექტებშიც (ამ სიტყვათა ნაწილი შეიძლება რუსული არ იყოს, მაგრამ, დიდი ალბათობით, ქართულში რუსულის გზითაა შემოსული); მაგალითად: რადიო, ვაგონი, არშინი, გუბერნატორი, კომისია, ბიდონი... ამ ტიპის სიტყვების რაოდენობა შედარებით მცირეა. საილუსტრაციო მასალა შ. ფუტკარაძის ტექსტებიდან (ფუტკარაძე 1993):

ერთი **ვაგონი** ეშმა წამულია გურჯისტანიდან (453); მივდა სტალინმა და ყურში უთხრა: - ადექი თუარამ შენ **კოლექტივში** დაქწერავო (370); ნიკოლოზის დროშიო, ორ კაკალ კუერცხ ვდებდი დღეშიო, **კომუნისტის** ხელშიო, სული ამძრა ყელშიო (370); ღამის **კურსზე** ვსწავლობდით. იმთიანი დროს **კომისია** მოვდა (369); ბათარია **რადიოს** ვიკავებდით გურჯისტანიდან, მოსკოვადამ, ახლა აღარ გამოდის რაცხა (546); სიკვდილ ვერვინ გუდურჩება... ვერც ქართველი, ვერც თათარი, ვერცდა **გუბერნატორები** (354); შენი **არშინით** ნუ აზმანავ, ბელქიდა გამუა ხუთი **არშინი**, ცოტაია ვერ ხედავ? (384); **ბიდონში** წყალ ჩავაყენებთ (398).

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასეთი სიტყვების დიდი ნაწილი თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში ფონეტიკურად სახეცვლილი სახით არის წარმოდგენილი: **პენწია < პენსია, პაროლა < პაროლი, გაზეთე < გაზეთი, მაღაზა < მაღაზია, ვაზო < ვაზა, კასტომი < კოსტომი...**

მაგალითები:

ნიკოლამ დიდი **პენწია** მიცა“; „კაცის **პენწიას** ლებულობს და იდარეს იჯება (ფუტკარაძე 1993: 543); იმათი **პაროლა** ის იყო, გათლილი

თეთრი ჯოხი ხელში (იქვე: 542); კაცი მის **კასტომს** გეიხდიდა და ღოჯეზე დაკიდევდა (482); ჩვენი მემედაი მეგემ **ქაზინოში** იარება და ფარას ხარჯავს (598); მაგის **ფოთოქოპები** გამეველოთ და წეილევი (593); ახლა ჩემი **ფაფრიკა** მაქ, ზოდას ვაკეთავ და ვყიდავ (586); ესა **ფაფრიქის** სტანდართია (564); ათათურქ **ფარქში** წევყვაი დღესა (585); **აქორდიონზე** უკრავს ალაათთინ ალთუნელი (დარბაზიძე) მანატბიდამ (385); ეს ლამაზი კრისტალის **ვაზო** შენ ჩამეიტი ბათომიდამ (453); **ვაზო** თიკისაც იქნება (453); ზურსას დიდი **მაღაზა** აქ ხავლებისა (500); თურქიე **გაზეთე** რენქლია, თქუენი არა, რატომ? (410); ბაშთან ვსუემდი **ზიგარას...** ახლა ვერ მოვრევენვივარ-ქი! (198).

ო ქალი ფენა დახში **ართისთია**, გამოვდოდა თელევიზიონში; **მაღაზა** მაქუა იქოს, მაღლა მაქუა; დურსუნაი ჩევდა **ფოშთაში**; ჩუენ მერე, მერენ გუბრე არ ვაყრით, ი **ჭაბრიკადამ** აღებული გუბრე არ ვაყრით... (დიალექტური მასალა)...

2. სიტყვები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ დიალექტურ მეტყველებაში; ასეთია, მაგალითად, ბარბარიზმები: **სალდათი/სალთათი, ნაჩალიკი, ვერხნი, დაპროსი, ტუნელი, სუდი, ქაში, პლანი...**

მაგალითები:

ჯუმა დღე თურქეთში თაადილი იყო, რუსეთში **ვიხადნო** კვირა დღეს იყო. რომ საზღუარზე მიველ, რუსის **ვიხადნო** დეიწყო (ფუტკარაძე 1993: 370); ეს გეიგონა **ნაჩალიკმა** და დეიწყო კბენა თითისა (იქვე: 370); ხალილაი ყვირის ტელეფონზე, ვერ აგონებს, იადა კარქა არ ესმის და ყვირის: - ალო, ალო, **ვერხნი** ჩხუტუნეთია, ვერხნი, ხალილ კახიძე ვარ. **ვერხნი, ვერხნი** (369); ბაზგირეთში **ტუნელი** გოუკეთებთან, მადენია იქა (576); **სუდში** ამან თავინა წეირჩინოს (569); მეგემ გადაამოსახლეს სიბირიას (564); **სალთათმა** უთხრა თავის უმფოსსა (555); ამ თეებ გადალმა **რუსია** არი (552); შენ **რუბლე** გექნება. დამანახიე რუსის ფარა? (551); თოფი ჩამართვეს, **რიველი** დოუტიეს (550); **რაპორი** მივართვი მუდირსა (548); **ქაში** ფაფა, ღერღილა ფაფა ვიცით (599); რაფერ გაქ **პლანები**. რამდენ დღეს გაქ ვახტი კიდო? (544); ჯანაზაზე მოსულეზსა **პიწკას** მიცემენ, ია კოკოტა ძაფსა (543); ჯიფეში მაქ პიწკა ყუთი, მაკოცნიე ოზდახუთი (543); **პალკონსა** ზაათი ტანტრაფასა ეტყოდენ ნენიები (542); ამასა ტანტრაბა ქვია, **პალკონსაც** ეტყვიან გენჯები (542); თვითან **ლივერით** ცევდა (494); **დობტურები** იძახიან ძაღლი საჭმელი არ ჭამოთო (439)...

ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა/ჩამეუდა-და მაჭახელში (მარი 2012: 180); წახდენილი მაქ **ზაკონი** (იქვე: 177); ეს **სტოლი** რაჰათია (იქვე: 150)...

ვიცვამ, ვიცვამ, **ბენდი** შემოხვეული მაქუა, ელპახი; **დობთორთან** წეიყვანეს, ქალი გამთელდა (დიალექტური მასალა)...

3. მესამე ჯგუფში გაერთიანდება ისეთი ნასესხობები, რომლებიც მხოლოდ ლექსებსა თუ შაირებში დადასტურდა:

ეს სიმღერა ერთიაო, ფაცია ჩემი ღმერთიაო,

ჩემი გულის დერდიაო.

ვოსა, ვორერა, რერა... **აქოშკაზე** ფერდებიო,

ბითუმ მომაგონდებიო, ვოსა, ვორერა, რერა...

აქოშკაზე მტრედებიო, მარტუაი რატომ ბერდებიო...

ვოსა, ვორერა, რერა... ვოსა, ვოდელა, დელა... (ფუტკარაძე 1993: 350).

ვოიისაა, ამ ბათუმში წვიმა მოდის, ქუთაისში დარიაო

ახალგაზდას გაკუჭება **ბარიშნების** ბრალიაო, ვოისა, დელია, ვორერა... (იქვე: 313).

მიდის-მოდის **პარახოტი**, ადესაში რიგდება,

ჩემი მოგებული ფარა **ბარიშნებში** რიგდება... (იქვე: 200).

ქართულში შემოსული რუსული სიტყვები იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც გამსესხებელ ენაშია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს რუსულ ლექსიკურ ერთეულს სემანტიკა შეცვლილი: სიტყვას **პაჟარი** ('ხანძარი') შეძენილი აქვს დამატებით ნიუანსი და ჩხუბს, დავას, აყალმაყალს აღნიშნავს: „ჩევდენ ეზოში და გააჩინეს **პაჟარაი**“ (ფუტკარაძე 1993: 542).

ქართული და რუსული განსხვავებული სისტემისა და სტრუქტურის მქონე ენებია. ამ ენათა ურთიერთობა გარკვეულ წესებს გულისხმობს; უცხო ლექსიკა, სესხების კანონზომიერებიდან გამომდინარე, მსესხებელი ენის ფონემატურ კანონზომიერებებს ექვემდებარება და, როგორც წესი, მას საკუთარ ფონემატურ სტრუქტურას არგებს.

ასეა ქართულშიც. თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში გავრცელებული რუსული ლექსიკა აღნიშნული კილოებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესების მიხედვით იცვლება. ერთი და იგივე სიტყვა შესაძლოა სხვადასხვა ვარიანტიტაც შეგვხვდეს.

საინტერესო იყო რუსული ენის სპეციფიკურ ბგერათა რეფლექსები. ამ მხრივ საანალიზო მასალაში მხოლოდ ერთი მაგალითი დადასტურდა:

რუსულ **ჭ**-ს ენაცვლება **ფ** თანხმოვანი: **ფაბრიკა** (<фабрика).

მრავალფეროვანია ფონეტიკური პროცესები:

ასიმილაცია:

ჩაკა < ჩეკა < чека; **ფაფრიქა** < **ფაბრიკა** < фабрика; **სალთათი** < **სალდათი** < **სალდატი** < солдат...

დისიმილაცია:

ვაზო < **ვაზა** < ваза; **ნაჩელიკი** < **ნაჩალნიკ** < начальник; **დოხტური** < **დოხტორ** < **დოკტორ** < доктор...

ბგერის დაკარგვა:

ნაჩელიკი/ნაჩალიკი < **ნაჩალნიკ** < начальник; **რაპორი** < **რაპორტი** < рапорт; **ვიხადნო** < **ვიხადნოი** < выходной; **პიჭკაი** < **სპიჩკა** < спичка ...

სუბსტიტუცია:

სალდათი < **სალდატი** < сольдат; **პალკონი** < **ბალკონი** < балкон; **პენწია** < **პენსია** < пенсия; **ქაში** < **კაშა** < каша; **პარახოტი** < **პარახოდი** < парад; **მიგარას/ზიგარას** < **სიგარა** < сигара...

რთული ფონეტიკური პროცესების შედეგადაა მიღებული **ლივერი/ლევერი/რიველი** < **რევილვერი** < **револьвер** და **დოხტური/დოხტორი** < **დოკტორი** < **доктор** ფორმები.

რუსული ლექსიკა გარკვეულ **მორფოლოგიურ ცვლილებებს** განიცდის, კერძოდ, ა ხმოვანფუძიანი რუსული სიტყვების ნაწილი

საანალიზო დიალექტებში იკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს და თანხმოვანფუძიან სახელებს უტოლდება: **ქაში** < каша.

იშვიათად რუსული ლექსიკური ერთეული მონაწილეობს სიტყვაწარმოებაში (ქართული სადერივაციო აფიქსის საშუალებით):

დობტურობა - „დობტურობაც ქონდა ხელში“ (ფუტკარაძე 1993: 439).

როგორც ვნახეთ, ხშირია სახელების (არსებითი, ზედსართავი) სესხება, სხვა ტიპის სიტყვების (ზმნისართი, ნაწილაკი, შორისდებული...) სესხების ფაქტები ჩვენ არ შეგვხვედრია და არც გამოქვეყნებულ ტექსტებში დასტურდება.

თურქეთელ ქართველთა მეტყველების ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინეთ რუსული ლექსიკური ერთეულების გავრცელების სიხშირე, მათი ფორმოზრივ-სემანტიკური ცვლილებების კანონზომიერებები, გამოვავლინეთ ქართულ-რუსული ენობრივი ურთიერთობის ზოგადი ტენდენციები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ზოგადი სურათი:

1. როგორც მოსალოდნელი იყო, დღეს თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში რუსიციზმები იშვიათად გვხვდება. გამოვლენილი რუსული ნასესხობების დიდი ნაწილი უმთავრესად მოხუცების მეტყველებაში ფიქსირდება; მაგალითად: სალდათი, ნაჩალიკი, ვერხნი, დაპროსი, ტუნელი, სუდი... ახალგაზრდების საუბარში რუსიციზმები ან საერთოდ არ ჩანს, ან თუ გვხვდება, მხოლოდ და მხოლოდ სახუმარო შაირებში. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: პარახოტი, ბარიშნები, აქოშკა...

2. დღეს აღარ დასტურდება ნ. მარის ტექსტებში დაფიქსირებული ზოგიერთი სიტყვა: კაპიკი, შაური, სტოლი...

3. თურქეთელ ქართველთა მეტყველებებში სხვა ქართველურ კილოებთან შედარებით რუსული ლექსიკური ერთეულები იშვიათად გამოვლინდება, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საბჭოთა კავშირის შექმნისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ე.წ. რკინის ფარდის ჩამოფარების შემდეგ თურქეთელი ქართველების მეტყველება თავისუფალი იყო რუსული ენის იმ ძლიერი გავლენისაგან, რომელსაც ქართული სამწიგნობრო ენა და სხვა ქართველური კილოები განიცდიდნენ.

ფაქტია, მე-19 საუკუნეში რუსულენოვან სამყაროსთან გარკვეული პერიოდის მანძილზე ენობრივ ურთიერთობებს შესამჩნევი კვალი დაუტოვებია მანამდე თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიების ნაწილის მაცხოვრებელ ქართველთა მეტყველებაზე. რუსული ენის გავლენა, ისტორიისათვის თუნდაც დროის ისეთ მცირე მონაკვეთში, იმდენად დიდი ყოფილა, რომ, მიუხედავად ზემოთქმული რკინის ფარდისა და რუსული ენის ზეგავლენისაგან გათავისუფლებისა, რუსული ლექსიკა თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში სუპერსტრატის სახით უმნიშვნელო ადგილს დღესაც კი იჭერს.

გამოყენებული ლიტერატურა

- თოფჩიშვილი 2016:** თოფჩიშვილი რ., ისტორიულ ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი, 2016.
- მარი 2012:** მარი ნ., შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. ბათუმი, 2012.
- ფაღავა 2013:** ფაღავა მ., მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი, 2013.
- ფაღავა... 2016:** ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე ვ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი (მონოგრაფია). ბათუმი, 2016.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.
- ყაზბეგი 1995:** ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში. თბილისი, 1995.
- ცეცხლაძე 2000:** ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. თბილისი, 2000.
- ჭიჭინაძე 1913:** ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913.
- ჯორბენაძე 1989:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.
- დიალექტური მასალა:** 2006-2014 წლებში იმერხევსა და ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში).
- Clyne 2000:** Clyne M., “Constraints on code-switching: how universal are they?” in The Bilingualism Reader. London, 2000. pp. 12-30.
- Wei 1998:** Wei L., “The ‘Why’ and ‘How’ Questions in the Analysis of Conversational Code-switching”. In Code-Switching in Conversation: Language, Interaction, and Identity. London, 1998. pp. 156-17.
- მიკაუტაძე... 2016:** მიკაუტაძე მ., დადიანი ე., Грузино-российские лингвокультурологические аспекты (на материале имеретинских и менгрельских диалектов). VII международная научная конференция „Русский язык в языковом и культурном пространстве европы и мира: Человек, сознание, коммуникация, интернет“. 5-10 мая, 2016 г. Польша, Варшава.
<https://iberiana.wordpress.com/iberiana/ghutidze-muhajir/>
<https://iberiana.wordpress.com/iberiana/inegoli/>